

უილიამ შექსპირის რომეო და ჯულიეტას ძველი და
ახალი ქართული თარგმანები

(თარგმნის თანამედროვე თეორიის კონტექსტში)

თამარ არჩვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ არჩვაძე

თარიღი: 24/06/2024

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი იყო უილიამ შექსპირის *რომეო და ჯულიეტას* ორი ქართული თარგმანის შედარებითი ანალიზი თარგმნის თანამედროვე თეორიის კონტექსტში, შესრულებული ვახტანგ ჭელიძისა და დავით ახალაძის მიერ. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებული იყო თარგმანების კომპარატიული თეორია და ახლო კითხვის მეთოდი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ორივე ქართულ თარგმანში შენარჩუნებულია დედნის ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლები, თუმცა თითოეული თარგმანის მხატვრული ფორმა განსხვავებულია; ორივე თარგმანში დედნის ტექსტი ნაკლები სტრიქონით არის წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია მთარგმნელების მიერ მსგავსი მთარგმნელობითი მეთოდის სხვადასხვაგვარად გამოყენებით, ეს კი განაპირობებს განსხვავებულ შედეგებს თარგმანებში; ასევე ორივე თარგმანში პერსონაჟების განსხვავებული ხატია წარმოდგენილი.

ამრიგად, *რომეო და ჯულიეტას* ორი ქართული თარგმანის მსგავსება-განსხვავებები გავლენას ახდენს დედნის ტექსტის რეპრეზენტაციასა და რეცეფციასზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უილიამ შექსპირი, *რომეო და ჯულიეტა*, ქართული თარგმანები, შედარებითი ანალიზი.

Abstract

The research subject of the paper was comparative analysis of Georgian translations of William Shakespeare's *Romeo and Juliet* in the context of contemporary translation theory, translated by Vakhtang Chelidze and Davit Akhaladze. Comparative analysis of translations and close reading method were used as research methodology.

The research determined that the characteristics of the genre of the source texts are preserved in the both of Georgian translations but the poetic form differs; In the both of Georgian translations the source text is translated with less speech lines due to different usage of the same translational methodology by the translators. Also the images of the characters are presented differently in both Georgian translations.

Thus, the similarities and differences of the Georgian translations have an effect on the representation and reception of the source text.

Key words: William Shakespeare, *Romeo and Juliet*, Georgian translation, comparative analysis.